კვირა, 8 აგვისტო, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 8 აგვისტო, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	„ . .	9 „ 50 „
10	„ . .	8 „ 75 „
9	„ . .	8 „ — „
8	„ . .	7 „ 25 „
7	„ . .	6 „ 50 „
6	„ . .	6 „ — „
5	„ . .	5 „ 50 „
4	„ . .	4 „ 75 „
3	„ . .	3 „ 50 „
2	„ . .	2 „ 75 „
1	„ . .	1 „ 50 „

ივერია

№ 182 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 182

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თებათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თებათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

„ივერია“

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჯერის:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში	.	2 „ 50 „
„ „ „ „ „ ქალაქ გარეთ	. .	3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თვ.-აზნაურთა ქარვასლა.)

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეგენიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნიას:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პაროენ ნასიძესთან.
ბანჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіи“.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნედ.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ეცნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და საბაჯო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაპრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფულ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე. კურსების საგზომში, სახლი ალექსანდრე ფრიდოლინოვის, № 9, სერგეევის და ლერმოსტოვის ქუჩების კუთხეში,

ჭრიგრამმები და წესები კურსების უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიკმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლიით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—11)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჟა, სოსიკო მერკვილაძისა	20 „
რაშია ბედნიერება, იასე რაქველისა	10 „
სამშობლო და კაკობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . .	10 „
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . .	7 „

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან, თვითეულ გამოცემიდან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—5). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

საუკეთესო საგზარაპო ადგილები

ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტკბილ შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ხომისა,

ი ს ყ ი დ ე ბ ა

იაფად და სელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

გ ა მ გ ე ო ბ ა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმ ბანკში უძრავ დაგირავებულ მამულთა, რომელთა პატრონთაც არ შეუტანიათ 1-ლს იანვრის 1904 წლის მათზედ დარჩენილი გადასახადი.

ქალაქის მამულებზედ საჯარო ვაჭრობა მოახდება 14-ს აგვისტოს, დაბა და სოფლებისაზედ—16-ს ამავე აგვისტოს.

მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორთავე რიგ მამულებზედ 31-ს აგვისტოს.

შემოსატანი ფული მიიღება საჯარო ვაჭრობის დღემდე ქუთაისის ბანკის კასაში, ტფილისში—სავაჭრო (საკომერციო) ბანკში, აზოვო-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ა. ფრიდონოვის ბანკის კანტორაში, ბათუმში—სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ტფილისის სავაჭრო ბანკების განყოფილებებში და ფოთში—სავაჭრო ბანკში.

(3—5—1).

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეპტემბრის პირველიდგან საჭირო

მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ულამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности).

(2—2).

«ხალხი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

ბულიეარის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გაგზავნიდა და ისყიდება

შორეულ ადგილსაყოფაზე დაფარდებული

ბართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი ს

ფრანგულ გაზეთ «ტანს», რომელიც რუსეთის ერთგულ მომხრედ არის ცნობილი, ჰგონია—პორტ-არტურს ჯერ ჯერობით არ გასჭირვებია და მტერი მალე ვერ აიღებსო. ეს გარემოება კარგად იცის გენერალ კუროპატკინმა, გული დამშვიდებული აქვს და ამიტომაც გადასწყვიტა, თავისი ლაშქარი ლიაოიანიდგან შუკდენს გადაყვანოსო. (ნოვ.).

—

რუსეთისა და იაპონიის ელჩები და ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო სრულიად არას ამბობენ იმის გამო, რაც იაპონიამ ჩაიდინა ჩიფუში. დიპლომატებიც გაჩუმებულნი არიან და თავის აზრს არავის უცხადებენ. მხოლოდ ერთმა მათგანმა შემდეგი მოსაზრება გამოსთქვა: იაპონელებმა სანეტერალო ჩიფუს ფორტში იმიტომ დაატყვევეს რუსების ნაღმოსანი, რომ სახელმწიფოებს გამოარკვევინონ, ნება აქვს რუსეთს თავისი სამხედრო გემები სანეიტრალო პორტებში შეიყვანოს, როცა კი მოისურვებს, თუ არაო. (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან დეპეშით იწერებიან, იაპონელთა გემის «ტეიჩიტეს» 87 მეზღვაური რუსის ჯარის კაცებმა დახოცეს კამჩატკაშია. (იქვე).

—

პეკინიდგან იწერებიან, «ცესარევიჩისა» და სხვა გემების მისვლა კიაო-ჩაოს არავის არ გაჰკვირებია, რადგან ბევრმა იცოდა, რომ ამ შემთხვევისთვის წინადვე შეთანხმებულან რუსეთი და გერმანია. იაპონის საზოგადოებასაც წინადვე გაგებული ჰქონდა, რომ ასე უნდა მომხდარიყო, და გერმანიას ეშინის თვალით უყურებს. (ნ. ვ.).

—

ᲛᲐᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ.

(ვაჲ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილიდგან «რუს. სლოვაში»).

... დავაკვირდი ჩვენს პატარა რაზმს, როდესაც მთლად ჩვენი ჯარი ჩრდილოეთისაკენ მოდიოდა და მთა-გორებს ეფარებოდა, რავდენმე სალდათი პატარა სერზე ჩასაფრებულიყო და იქიდგან თოფს ესროდა პაპაჯანა მოძრავ ტიკინებს, რომლებიც წყალში ცვივოდნენ. ეს ტიკინები ისე შორს და ისე პატარები იყვნენ, რომ თავსა და ფეხს ვერ გაარჩევდი. ვერ დინთახავი თავისა თუ ხელის ნძრეკას, ვერ გაარჩევდი, სდგას თუ წოიქცა, და ამიტომ, რაც უნდა მოსცლოდა, შენ გულს ვერ აგიდევნებდა. ფიქრადაც არ მიმესვლია, რომ ყოველი ტიკინი, თოფნაკვრავი და წყალში ჩაყურეკუმბეული, განსაკუთრებულს პატარა მსოფლიოს წარმოადგენდა თავის გონებით, იმედებით, მოგონება-შთაბეჭდილებით, გულდამბეჯითა თუ შიშით; რომ ყვითელ ქვიშაზედ შავად გაკრული მწერმა ერთის წუთის წინად გული უცემდა, ღონე ერჩოდა და ბრძოლა-ომქმედებდა. და რამდენი ამისთანა ქიანქვეყანა ყოფილა მდინარესთან... ეს ყველა, ერთმა ყუმბარამ მთელი დასი გაიტანა ბაზავ ტყვეებისა და ზოგი აქეთ-იქეთ ისროდა... ისინი კი მოდიან და მოდიან ლერწამების ფერდობზე, მოდიან და მოდიან შავი ტიკინები, მოდიან ჩუმად, წყნარად, თითქო უიარაღოდ, რადგან თოფის ხმაც კი არ ისმის... მოდიან სასიკვდილოდ, იციან, რომ უნდა გაიცლიტნონ, სიკვდილი აუცილებელია-და მაინც მოდიან შეუღრკელად...

სწორედ ღირსეული მოხელდაბელეა ჩვენის ჩინებულის სალდათისა,—გულადი, გაწვრთნილი და გაგებული; ის დარწმუნებულია, რომ აქ შებრძოლება და შეწყნარება არ შეიძლება. ან ალაჯს, ან მოკვდება. ხოლო მოკვდება თავის სამშობლოსთან, ყველასთან, როცა კი მისთვის ძვირფასია, რაც წმიდათა-წმიდაა.

კეთილად ვიტყვი—ღირსეული მეოთარია. და რავდენად უგუნურნი არიან, რომლებსაც არ მოსწონთ, რომ მტერს სამართლიანად ვეფასებ. ამ კაპიტანებს შეუფლეთნი შორიდგან მაკაკები და იაპოშკები უწოდონ, ვერაგობა და ვიიმეგრობა და სხვა ამგვარი თვისება მიაწერონ. ხოლო აქ თვით უფროსი სარდალიც და უკანასკნელი სალდათიც, ნამდვილ ბრძოლის ველზედ და ნამდვილი მეომრები ამ «მაკაკებს» და «იაპოშკებს» ეშმარიტის პატივისცემით უყურებენ...

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

*** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა სტიპენდიების გამნაწილებელმა კომისიამ პარასკევს, 6 აგვისტოს, გაანაწილა სტიპენდიები ლარიბ მოსწავლეებზედ. სულ სტიპენდიები დაუნიშნა 19 კაცს. ეი მათი გვარები: 1) ანდრონიკაშვილი ივანე, 2) მგალობლიშვილი ლევან, 3) მუხაძე გრიგოლ, 4) ბეგთაბეგოვი ლევან, 5) ფალავანდიშვილი გიორგი, 6) მოსეშვილი გიორგი, 7) მაკაშვილი ვახტანგ, 8) ვარსანძე ალექსანდრე, 9) მელვინეთ-უსუფლესშვილი გიორგი, 10) ერისთავი სოლომონ, 11) პარკაძე დავით, 12) ანდრონიკაშვილი დიმიტრი, 13) აბაშიძე იდია, 14) გურამიშვილი ბალეკა, 15) ბეკანბეგოვი ლეონიდე, 16) ბარნოვის ასული სოფიო, 17) ბაკრაძის ასული ნინო, 18) ღლობარის ასული თამარა და 19) შიშუკაშვილის ასული მარიამ. ამთაგან პირველი 8 სტიპენდიანტი სტუდენტია და სხვა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში სწავლობს; იდია აბაშიძე კი სათავად-აზნაურო სასწავლებლიდგან გადავიდა ტფ. სამუსიკო სასწავლებელში, სადაც წელს ვიოლონჩელის დაკვრაზედ დამთავარი სწავლა და უხლა სტიპენდიატად გაამწესეს კონსერვატორიაში. სტიპენდიანტ ქალთაგან ლიმაურისა, ბარნოვისა და ბაკრაძის ასულნი მიდიან დედათა უმაღლეს სამეურნეოლი ინსტიტუტში, ხოლო შიუკაშვილის ასული-კი ბესტუჟევის სახელობის დედათა უმაღლეს კურსებზედ პეტერბურგში. დანარჩენმა სტიპენდიატმა ვაეკბმა მხოლოდ წელს გააათავეს საშუალო სასწავლებლები.

*** იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საკნის შემოწმავება, აარჩიენ ექმნენ: ა. ს. ბაბოვი, მ. ვ. ლუნკევიჩი, ლ. გ. ევანგულოვი, ი. ბ. ალიხანოვი, თავ. გ. მ. თუმანოვი და რ. ა. იოსეფიანი.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვიცხადოთ შემ. ეიკი: «სამშაბათს, 26 ივლისს, შუადღისას, სახლიდგან გავიდა კალატოზის შეკირდი, გიგა კიკნაძე, დუშეთის მაზრის სოფ. წეროვნის მცხოვრები, 10 წლისა, და მას შემდეგ ალარ დაბრუნებულა. ჯერ თავის სოფელში მოვიკითხეთ, მაგრამ არ აღმოჩნდა. მიემართეთ ყველა საპოლიციო ნაწილებს, მაგრამ ვერც იქ გავიგეთ მისი გზა-კვალი. ვთხოვთ ყველას, ვინც ნახავს, მოიყვანოს მარიბარსკის ქუჩაზედ, ავლაბარში, მე-7 ნაწილში, № 22. ბავშვის ნიშნები: ქერა, კრიალა თვალები აქვს, შირმრგვალი სახისა, მომსუქნო, ნაბდის ქუდი ჰხურავდა და ჩუსტები აცვია. ვთხოვთ უმორჩილესად მნახველთ, ამ ნიშნებითა და ზემოხსენებულ ადგილით მიგვგვარონ კალატოზ სანდრო ხიზანაშვილს.

*** ტფილისის პოლიციმეისტრად ნამყოფს დეიტ სტ. სოფ. მასტიკეკის ბრალდებულ სახაზინო ფულის—10,438 მან. 97 კაპ. გაფლანგვა. ამის გამო ხაზინამ სარჩელი აღძრა სასამართლოს წინაშე მასტიკეკის წინააღმდეგ. 16 ივნისს ლუკეს ოლქის სასამართლოს განუხილავს ეს საქმე და ხაზინისათვის უარი უთქვამს სარჩელზედ, რაც ვოლინის გუბერნატორმა შეატყობინა პოლიციის დეპარტამენტს და სასამართლოს განჩინების პირი გამოუგზავნა ტფ. გუბერნატორს. ესლა პოლიციის დეპარტამენტი სთხოვს ტფ. გუბერნატორს, სასამართლოს განჩინების პირი ამის შესახებ, რაც შეიძლება, მალე გაუგზავნოს.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ მისწერა ტფ. გუბერნატორს, ჩქარა გამოგვიგზავნეთ სახალხო განათლების სამზრუნველო საზოგადოებათა სია. ამის შემდეგ ეს საზოგადოებანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 1903 წლის 22 მაისის ცირკულიარის ძალით, უნდა გადაეცეს საერო განათლების სამინისტროს უწყებას.

*** მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა ტფ. გუბერნატორს მისს განკარგულებაში გადასცა 446 მან. 67 კაპ. რუსეთიდგან გადმოსახლებულთა კარვების ასაშენებელ-დასამთავრებლად სოფ. ვლადიმირიოვკიანში (ახალქალაქის მაზრაში). ამასთანავე მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს ტფ. გუბერნატორს, ყოველი ღონისძიება მიიღოს, რომ კარავიზში გადმოსახლებულთა კარვების ასაშენებლად გადადებული თანა იმდენად შეამოკლოს, რომ როგორმე ეს 446 მან. 67 კაპ. შიგ გამოიირიცხოს, რადგანაც რუსეთიდგან გადმოსახლებულთა საქმისათვის საკმო თანხა არ არის გადადებულია.

*** მ. იმპ. უდიდ. იმპერატორიცა მარიამის დაწესებულებათა სამზრუნველომ კავკასიის მთავარ მართებელს გამოუგზავნა დაბეჭდილი ბლანკები, სადაც უნდა ჩაიწეროს კავკასიის ყველა ის საქველმოქმედო დაწესებულებანი, რომელიც შემწეობას აძლევს დარიბთ. ტფ. გუბერნატორმა, კავკასიის მთავარმართებლის თანადგომა, კავკასიის მთავარმართებლის თანადგომ. გენერალის ფრეზეს განკარგულებით ეს ფურცლები დაუგზავნა ქალაქის მოურავის მოადგილეს, ხელოსანთა და მოქალაქეთა გამგეობათა და სხვათა და სთხოვა, ჩასწერონ ნაჩვენებ ადგილებზედ, თუ რამდენმა საზოგადოებამ ვის რამდენითა და რამდენჯერ აღმოუჩინა შემწეობა.

*** გორის მაზრის სოფ. ბუზალასა, ხვწკესა, მსხლებისა, ჯავისა და გუთასას მცხოვრენი შუამდგომლებდნენ, ნება მოგვეცეთ უაქცეზოდ გამოვბადოთ შინაური არაყი. ეხლა მთავარ-მართებლის კანცელარია სწერს ტფილისის გუბერნატორს, შეგვატყობინეთ, რა პასუხი მისწერეთ ამის შესახებ ხსენებულ სოფლის მცხოვრებთაო.

*** ქალაქის ფერმისა, საქონლის ბაკისა და საქალაქო ხორცის დუქნების გამგეობა დაეკვლა სავაჭრო სამეურნეო ჰოლიციის უფროსს ზედამხედველს ა. ნ. ბაბოვს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲡᲝᲤ. ᲠᲐᲥᲕᲘᲐᲜᲘ. (შარაპნის მაზრა). რამდენისამე წლის წინად ს. რაკვი ერთი შესამჩნევი სოფელთაგანი იყო, როგორც მდებარეობით, ჰავით, აგრეთვე ჭინახულის მოსაელით. განსაკუთრებით ამ სოფელში მოდიოდა კარგი ღვინო, რომელიც ბლომად გაჰქონდათ ყოველ კუთხისკენ. რკინაში თუ ერთი ქილეა რიგიანად შემუშავებული ვენახი ჰქონდა გლეხს, ყოველსავე მოთხოვნილებას უკმაყოფილებდა, ასე რომ მეცირდის მუშაობით მცხოვრენი კმაყოფილნი იყვნენ.

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც საზოგადოდ მოსავლიმა და განსაკუთრებით ღვინისამ იკლო. რკვიას შერჩა მხოლოდ მდებარეობა და ჰავა. ამისთანა მეშამულეს, რომელიც წელიწადში ოთხას, ხუთას კოკა ღვინოს ჰყიდდა, დღეს, „საზედაშე“-ს რომ იტყვიან, ისიც აღარ მოსდის. ღვინის მოსავლის ასე მოკლება და ხალხის დაქვეითება გამოიწვია ორმა გარემოებამ: ერთის მხრივ ვაზის ავადმყოფობამ, მეორეს მხრივ, მცხოვრებლების დაუდევრობამ და სიზარმაცემ. ზოგიერთმა შენიშნა თუ არა ვაზის ავადმყოფობა, სასოწარკვეთილებას მიეცა. მევენახეობაზე ხელი აიღეს და მიიშურეს სიმღიდრის წყაროს. მახლობელ ქიათურის მადნებსა, სადაც ამ დროს მუშაობა სდუღდა. უბრალო მუშა სამ მანეთამდის იღებდა დღეში. ამ სამმა მანეთმა მცხოვრებთ თვალი აუხვია. მან დასცა მათი ცხოვრება სამუდამოდ. უპატრონოდ მიტოვებული ვენახი მთლად გახმა. მხოლოდ ზოგიერთებს შერჩათ ვენახები და სამყოფი ღვინო მუდამ აქვთ. სამ მანეთების მოტრფიალეთ კი უკუღმა დაუტრიალდათ ჩარხი. სამუდამოდ მოისპენ ბაღი და ყანა და გაჯეკრებაში ჩაცვივდნენ; ქიათურაში ნაშოვარი სამი მანეთები ჰჭრიბოდა და, თუ მუშა ავად გახდებოდა, ყოველად უნუგეშოდ რჩებოდა. ბევრიც მუშაობის დროს მაღალის ყედლების ნანგრევს ქვეშ მოჰყვა, მოკვდა ანუ სამუდამოდ დაშავდა.

ერთის სიტყვით ბევრს შეძლებულს ბლუს აიბენინა ქიათურამ საცხოვრებლიზედ ხელი. ეკეკლესიობით ხალხი გადარჯულდა. ეს ერთი წელიწადია, რაც ჩვენი ეკკლესია დაკეტილია, ჯერ სულ არ ვარგიყო წვიმა ჩამოდის და გვერდზე ყედლები არ უვარგა. არც წინად უნდა ჰქონოდათ ძველდმოქმედების შესრულების ნება, მაგრამ ხალხს ვერაფერი გაადგებინა მღვდელმა.

რკვიელები უგზოობითაც ძლიერ შეწუხებულნი არიან: ღობე-ყორეს და ჩირგვებზე თუ გადახტებით, თორემ აქ გზას ვერ იპოვით, ამას წინად აპირობდენ გზის შეკეთებას, მაგრამ ესეც ჯერ-ჯერობით ისევე დარჩა. სამინისტროო სკოლა დაარსდა და შენობასაც აკეთებენ. ეხლა ბავშვები ალარ შეწუხდებიან, რადგანაც სკოლა შუა ადგილს (ს. ბოსლეფში) შენდება და იქამდის შარა გზაა გაყვანილი. საზოგადოება დიდად კმაყოფილია ამ სკოლის დაარსებისა.

ვანო კაჩეიშვილი.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსგან).

5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.

ᲙᲝᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. რეცენზეტენის დეპეშით მისს უდიდებულოსადმი: 28 ივლისს დილის ხუთი საათიდან ესკადრამ დაიწყო

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲜᲐᲠᲘ.

თუმცა შემთხვევას ვაძლევ «ცნობის ფურცლის» მოდაწეებს, რომ ერთხელ კიდევ გამოიყვანონ კარიკატურაში ჩემი ჩამორჩენილობა და მიკიბინონ ჩვენი სამშობლოს სიძველეთა მიმდევრობა, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და ძველებური «ნუ დაადგდებ ძველსა გზასა, ნუ-ცა ძველსა მეგობარსა» მირჩევენი შემოვსძახო, ვიდრე აწმყოს მთებური მაყრული ვუმღერო!

არ დავფიცავ, ბევრი რამ მამა-პაპათა ნაანდერძევი, ღღეს დაკარგულ-დავიწყებული, მიგლოვია, მაგრამ არც ერთი ისე არ დამსობია გულზე, როგორც ეს უკანასკნელი უკუღმართობა: იმ ქვეყანაში, სადაც სარწმუნოებისა და მასთან მჭიდროდ შეერთებულ ეროვნობის გულისათვის მოწამეთა სისხლით «ღღგომის კვერცხივით» შეღებულია საქართველოს მთა და ველი, ახალმა დრომ გამოიწვია ისაკრიოლთა გუნდი, «შიგნიდან ციხის გამტეხი», რომელიც შეურაცხყოფს მამა-პაპათა თვით სფლავსაც კი!

ბევრი ალარა დგვრჩენია რა ძველთაგან ეროვნული «წმინდა-წმინდათაგანი»!.. ერთი-ღა ეგლათი იყო მის საარბელოდ-ეო ნაშთებით და იმასაც დასცემენ თავს ავაზაკები და შეუბღალავთ!.. შეიარაღებული რაზმი შესცვია ლოკვის დროს წმინდა ტაძარს. გარეთ მეთვალყურეები დამდგარან, შიგნით მკარაველები შეჭრილან, გაუძარცვავთ ეკკლესია, თან გუყოლებიათ არხეოლოგიური ნაშთები: დაბდა: ეპ, თურმე შესაძლებელი ყოფილა საეკლესიო შეწირულ-ნივთების წარაძარად ხელის შეხება და ჩვენ კი არ ვიცოდითო! «მას აქეთ, ჯერ ოც-და-ათ წელსაც არ გაუვლია და ან ნაყოფი და შედეგი იმ სიბრძნისა. ჩვენთვის დღეს ალარც სარწმუნოებაა და ალარც ეროვნება ქრისტიანულს ელფერობით. მივჰყვებით ვითომ მოციქულების კვალს, მაგრამ ერმილისას—იუდა გამცემლისს თუ დანაშენებისას—იმას კი ვეღარ ვარჩევთ. მივისწრაფით, მაგრამ სავანეში გასავანებლად, თუ უფსკრულში ჩასავარდნელად,—არ დაეყრდნთ და გამფრთხილებელიც არ ვინა გვყავს. თანამედროვე ქართველის გული კუშმა ჩაყლაპა. და არ გვმართებს მოთქმა-ტირილი?

მაგრამ, მკვლრებს თუ მივუტირებთ და მივუსამძიმრებთ, თვარა ცოცხლებს ალარა ეყურებათ რა!..

ვის მიუტირო აწ ძველებურად,
რომ ჩემი ცეცხლი გავუნთიო?
და ერთად მასთან უბე-კალთაში
სამგლოვიარო ცრემლები ვღვარო?

—

თუ არ შენს აჩრდილს და შენსა სახეს,
კალამ-ძლიერო და მადლიანო,
ქართველად ზრდილო, მირონ-ცხებულო,
სულ-მნათო, ვიბძანგ ორბელიანო?!

—

ძველი დიდების საჩინო ნაშთნი,
შენი გულათი, დიდი ტაძარი
სადაც ბრწყინავს სული დავითის
და თამარისა, ვითა ლამპარი,

—

ვის სიწმიდესაც, ბარბაროსთა დროს
მტერი ურწმუნოც ვერ შეჰხებია, —
ის საეროვნო «წმიდა-წმიდათა»
დღეს თვით ქართველსვე დაჰვიწყებია.

—

და შეუხია, როგორც იუდას
ამბორის ყოფით, გამცემი ხელი:
გაუტაცია სისტორონო
საშვილი-შვილო ნაშთები ძველი!

—

ის წმიდა ქოში, რომელსაც თამარ
ლოცვა-ვედრების დროს გაიხდიდა
ტ ფეხ-შიშველა, სამშობლოს მსხვერპლად,
წმინდა ტაძარში წმიდა ცრემლს ჰღვრიდა,

—

და ის საცერე დიდი ბეჭედი,
აღმაშენებელს რომ თითზე ეცვა
და კუთხეულმა მისმა მარჯვენამ
საკრესტიანო რითაც დაიცვა,

—

სხვა სიმდიდრესთან, ბორორტ-განშძრახველს
გაუტაცია ისინიც ერთად.
ალარ უცვნია გადარჯულებულს
ტაძარი ტაძრად და ღმერთი ღმერთად!...

—

ვეღარა ვხედავ იმას, მგოსანო,
რაც რომ გულთზე შენ დგვიწერე! ..
და ნეტავი შენ, რომ შენც ჩვენსავით
ამ წამხდარ დროს ალარ ხარ დამსწრე!!

ᲮᲯᲝ.

---

*) ᲓᲐᲯᲐᲠᲒᲣᲚ ნივთების სია იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“. № 176. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასვლა გარე რეიდზე, ხოლო ღილის 8½ საათზე ამ წესზე დაეწყო და წავიდა: «ცესარევიჩი», „რეტვიზანი“, „პობედა“, „პერესვეტი“, «სევასტოპოლი», «პოლტავა», «ასკოლდი», და „დიანა“, კრეისერი «ნოვიკი» მიუძღვოდა წინ ესკადრასა, პირველი რაზმის ნაღმოსანები—მოწინავე Ჯავშნოსანს ახლო მიდიოდენ, ორი საკანონერო ნავი და ნაღმოსანთა მეორე რაზმი ესკადრას უკან მისდევდა. გემი «მონგოლია» წითელის Ჯარის ბაირაღით გვერდით მოდიოდა: წყაღმით ჩახერგილი რეიდი მშვიდობით გადავიარეთ, მაგრამ ორი საათი კიმო ვუნდით. ღილის 9 საათზე ესკადრის უფროსმა გვანაშნა, ვლადივოსტოკისაკენ წავსულიყავით. გამოვედით თუ არა, მტრის გემებმა მაშინვე დაიᲬყეს აქეთ-იქიდან მოგვრევება. მარცხნივ გზის გადასაჭრელად მოდიოდა მტრის ესკადრა, რომელშიაც იყო შემდეგი Ჯავშნოსნები: «ასახი», «მიკაზა», «ნიკაშიმა», და Ჯავშნიანი კრეისერები «ნისსიცა», და «კასუგა». ამას გარდა ჰორიზონტზე ჩანდა სამი კრეისერი კიდევ, „მატსუშიმა“ მინაგვარი, ერთი Ჯავშნიანი კრეისერი «იეატეს» მინაგვარი, სამი კრეისერი «ტაკასაგოს» მინაგვარი და 44 ნაღმოსანი. მტრის ესკადრა უკვად უკან შემობრუნდა. პირველ ბრძოლის დროს «ასკოლდი», «პოლტავა» მისდევდა, მოახდა ყუმბა წინა საბოლეს და წინა ქვაბი გააფუჭა. იაპონელების ესკადრაც გვიახლოვდებოდა, დიიᲬო მეორე ბრძოლა. 5 საათსა და 40 წუთზე ღღისით «ცესარევიჩ»-მა უკან გამოუტეია და გვანაშნა: «ამიერმბარი უფროსობას სხვას უტოვებსო». უფროსად იყო კონტრ-ადმირალი თავადი უტომსკი. დაინახა რა, რომ მტრის უნდოდა გარ შემორტყმიყო ჩვენს ესკადრას, რომელმაც მᲬყობრად დაიხია დ« ესოდა მტერ ყუმბარებსა, იმან გადასწყვიტა გაერღვია მტრის ესკადრა და ანიშნა: «მომყევით მეო,» «ასკოლდი» გამიმეღარა წინა გზის გასაᲬმენდათ გასაᲬლისაკენ, თან გაᲬყვა «ნოვიკი» და ცოტა მოშორებით «პობედა» და «დიანა». ამ ესკადრას უნდა გაერღვია ორი კრეისერი მეოთხე რანგისა და რამდენიმე ნაღმოსანი, ხოლო მარᲯვნივ კიდევ იყო სამი კრეისერი. ამ შემდგა დაᲬშნა წვიმასავით ყუმბარები. როდესაც დაახლოვდა წრესა, შენიშნა, რომ ერთი Ჯავშნიანი კრეისერი იყო, რომელიც გზაში გადეღობა. ეტყობოდა, «ასკოლდის» ყუმბარებმა მტრის სამი კრეისერი რამდენადმე დააზიანა, ხოლო «აზამას» ცეცხლი გაუჩნდა. მაშინ «აზამა» ჩამოცალა და გზა მისცა «ასკოლდსა». მტრის ოთხი ნაღმოსანი დაგვიახლოვდა, მაშინ იერიშში მოიტანა «ასკოლდზე» და ოთხი ნაღმი ისროლა, რომელიც აქეთ-იქით გაიფანტა და მიზანს კი ვერ მოჰხვდა. „ასკოლდის“ მარᲯვე სროლამ ერთი ნაღმოსანი დაᲬღუბა და სამი გაიქცა. ცხარე ბრძოლა იყო. ოცი წამის განმავლობაში ყუმბარები სეტყვასავით მოდიოდა და ძრიელ დაიზიანეს «ასკოლდი», მაგრამ მტრის გემთა წრე მიინც გაარღვიეს. «ასკოლდმა» და «ნოვიკმა» გაიარეს, ამათ მიჰყᲬენ «პალადა» და «დიანა». იაპონის კრეისერები გამოეკიდნენ «ასკოლდსა» და «ნოვიკსა», მაგრამ ჩვენ სიარულს ვუმატეთ. ამ დროს დაღამდა. «პალადა» და «დიანა» ვეღარ დაეიზახᲬმდეგარი ვეღარ მოგვდევდა და ამიტომ სიარულს მოვუკლეთ, ღილამდე ასე ნელა ვიარეთ ნაპირიდგან ცოტა მოშორებით, რადგან ნაღმოსანთა იერიშის შიში გვქონდა. შანტუნიდან კრეისერები «ნოვიკი», რომელიც ჩქარა დადის, გავᲬვეთ, რომ თავისუფლად ემოქმედნა, აღმოჩნდა, რომ «ასკოლდი» ძრიელ დაზიანებულიყო, რადგან მტერი სულ იმას ესროდა. ორი საბოლე დაᲬგრეს და ამიტომ ნაᲬᲬირი ᲬᲬერი უნდოდმოდა. რადგანაც ძრიელ დაზიანებული იყო, ნაᲬᲬირიც დაგვაკლდა, სიარულიც აღარ შეეძლო, ვლადივოსტოკისაკენ აღარ წავიᲬვანეს. საქიროდ დავინახეთ დოკში შესულიყო შესაკეთებლად 30 ივლისს მოვიდა ვუᲬᲬნეს, აქ ღუᲬ ჩაᲬᲬა და გაᲬრდა 31 ივლისსა და შეუდგა შემᲬᲬადᲔას დოკში შესასᲬელად. აი უმთავრესი ზიანი „ასკოლდისა“—ორი საბოლე მოგლეᲯილი აქვს, სამიც დახვრეტილია, ერთი ქვაბია დაზიანებული, ოთხგან ᲬყალᲔქვეშა ადგილი აქვს გახვრეტილი, ორი შᲬანგოᲬეია დამტვრეული, ექვს ალაგას აქვს შეხვრეტილი ᲬყალᲔზემოთ ნაᲬილი. მოკლულია მიჩმანი რკლიეკი; დაჭრილია ლეიტენანტი ბარონ მაიდელი, მიჩმანები მედვედევი და ეიტკოვსკი და ტიტულიარნი სოვეტნიკი ხოლოვი. Ჯარის კაცთაგან მოკლულია 10, მძიმედ დაჭრილია 15, მსუბუქად 29. უფროსები, მემანქანენი, ექიმი და მეზᲔვაურნი ყოველად იქცეოდნენ, მამაცურად, თავდაᲬრით და მტერს რისხვას აყენებდნენ. მღვდელ-მონაზონი პოოფიერე მამაცურად დადიოდა მაღლა ბანზე Ჯვრითა და ლოცვეთ და ამხᲔვევდა მებრძოლთა. ექიმს ყუმბარების სროლის დროს გაᲔᲭონდა მოკლულნი და დაᲭრილნი».

დეპეშა გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მისს უდიდᲔᲭესოსმბასთან 4 აგვისტოს: «უქვეშევრდომილსად ვუᲬᲔᲭენი თქვენს უდიდᲔᲭესობასთან მოკლე მოხსენებას კრეისერთა უფროსისას, რომელიც 3 აგვისტოს დაბრუნდა ვლადივოსტოკის კრეისერებითა «როსსია» და «გრომობოი»-თა. 1 აგვისტოს გათენებისას რაზმი კრეისერებით «როსსია», «გრომობოი» და «იეიერიკეთ» დაᲬᲬრდაბრეთა ფუზანსა. მალე დაინახეს ᲬᲬინ, ასე 8 მილზე ჩრდილოეთისაკენ, იაპონიის ესკადრა, რომელიც იმათ პირდაპირ მოდიოდა, იყო ოთხი კრეისერი „Იეატეს“ მინაგვარი. მე მარᲯვნივ შეᲬᲔᲭენდი, მოვუმატე სიარულს და ზღვისაკენ გავᲔᲭრე. მტერიც, რომელიც ჩვენზე ჩქარა მიდიოდა, მაშინვე შემობრუნდა და იძულებელ მყო შეᲬᲔᲭოლებოდი; ბრძოლა დაიწყო დილის 5 საათზე. მალე სრუტედან სამხრეთის მხრივ გამოჩნდა კრეისერი, რომელიც მისაშველებლად მოდიოდა მტერთან. მტერმა შეᲬᲔᲭყო, რომ ზღვისაკენ დავიᲬეე, იმანაც დაიᲬია და შემᲔᲭალა მოᲬᲔᲭრი; არ გასულა ხუთი წუთიც, რომ კრეისერი «რიურიკი» ბრძოლის ველიდან გავიდა და გვანაშნა: «საᲭე აღარ მოკმედისო», მე ვანაშნე „აამოქმედეთ მანქანები“, და ჩემს გზას გავᲔᲭეᲭი. როდესაც დავინახე, რომ «რიურიკმა» ნიშანის პასუხი არ მომცა და მტერმა სულ მთლად იმას მიაპყრო თვისი ძალა, მე ვეᲭᲔᲭე მტრისათვის ჩემსკენ მიმᲔᲭᲔᲭᲔᲭ

10 ივლისს აქ მოვიდა. სამხედრო მასალა ტ სურსათი არტურში საკმაოდ არისო.

ვაშინგტონი. (რეიტერი). გარეშე საქმეთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო, რომლითაც ატყობინებენ, იაპონელების 7 ნაღმოსანმა დღეს ღამით რაღაც გემი შეიპყრეს, როდესაც ჩიფუში შედიოდაო.

ჩიფუ. (ბერლინზე). ციხის ნება-ყოფლობით დათმობის შესახებ სტესსელმა უპასუხა: «ვიდრე ერთი კაცი მაინც დარჩება უკანასკნელ სიმაგრეში, პორტ-არტურს მცველი ეყოლებაო.

ვენა. იმ ხმების წინააღმდეგ, ვითომც მარიენბადში ნიადაგი შეუზიდვიათ ინგლისისა და ავსტრიის სამედიტორო სასამართლოს შესახებ, Neue Freie Pysse ამბობს, ამ ამბავში მხოლოდ ის არის მართალი, რომ ინგლისის კაბინეტი შეელაპარაკა ავსტრიისას ამ საგანზე, რომლის შესწავლას ავსტრიის გარეშე სამინისტრო გულმოდგინედ შესდგომია.

ათინა. კუნძულ სამოსზე კიდევ იყო მიწის-ძვრა და ზოგს ადგილას დიდი ზიანიც მოჰყვა. რავდენიმე კაცი დაიღუპა.

ბელგრადი. მინისტრთა რჩევამ გადასწყვიტა, კრედიტი ითხოვოს 100,000 ფრანკი ხარჯად მეფის დაგვირგვინების დროს.

სარატოვი. ესეფი კარგი მოსავალი სამარის გუბერნიაში არაოდეს არ ყოფილა.

7 აგვისტო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა, გენერალ-ლეიტენანტ სტესსელთან პორტ-არტურს:

„ჩემის სახელითა და სრულიად რუსეთის სახელით გავალებთ თქვენ მიულოცოთ მეკიხოვნეთ, ჯარსა, მეზღვაურთა და არტურში მყოფთ გამარჯვება 13, 14 დ. 15 ივლისის ბრძოლებში. მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სრულიად მზად არიან თავის განუსაზღვრელ მამაცობით კვლავ განამტკიცებენ ჩვენის იარაღის ძლიერებას, და გულმხურვალე მადლობას ეუცხადებ ყველას“.

ბიულეტენი: შმობიარობის პროცესი მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორეა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა წესიერად სწარმოებს, მგრძნობიერობა კარგია, ტემპერატურა 37, მაჯა 90. მემკვიდრე ცესარევიჩი, როგორც წინა დღეებში, ჯანმრთელად არის.

ოფიციალური ცნობები შორეულ-აღმოსავლეთიდგან 6 აგვისტოს არ მოსულა.

უმაღლესის ბრძანებით უმართებულეს სენატისადმი, სათადარიგო ჯარი უნდა შეკრებილ იქმნას კიევისა, მოსკოვისა, კაზანისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქებში; დაბარებულ იქმნა სამსახურში სათადარიგო ჯარში ჩარიცხული აფიცრები და დაბალი ჯარის კაცები, რომლებიც სამხედრო მოხელეებად უნდა ჩარიცხონ.

მუკდენი. (საკუთ. კორესპ.). 4 აგვისტოს ჩვენმა ჯარმა კვლად დაიპირა დაპინდუშანის უდელტეხილი და იაპონელები განდევნა ძანჩანამდე, გამოიარეკა, რომ ამ არე-მარეში იაპონელებს 2000 კაცზე მეტი არა ჰყოლიათ. სხვა მხარეებიდგან ცნობები არ მოსულა. გამუდმებული წვიმა უფეშელია, უშლის მეომართა ლაშქრების მოქმედებას.

ტოკიო. (რეიტერი). ოფიციალური დეპეშა ამბობს, პორტ-არტურიდგან გამოსვლის ნება ეძლეოდათ მხოლოდ მანდილოსნებს, ბავშვებს, მოვლელებსა და დიპლომატებს და აგრეთვე სანეიტრალო სახელმწიფოების აფიცრებს.

იაპონელებს უკვირთ, რომ სტესელს გადაუწყვეტია უკანასკნელ გაპირველებამდე გამაგრდეს პორტ-არტურაში, გენერალს თანაგრძნობას უცხადებენ და მასთანვე სწუხან, რატომ არა სურს აღიაროს, რომ წინააღმდეგობა ამას შემდეგ სულ უადგილოაო.

ახალი ამბები მოდის, ვითომც რუსები გენზანს დასცემიან.

იაპონიის ვაჭარ-მეზღვაურთ გადაუწყვეტიათ თავისუფალი ფლოტი დააარსონ და კრეისერები გაიჩინონ.

შანხაი. (რეიტერი). გენერალი კუროპატკინი ანშანჯანშია, ჰყავს ექვსი დივიზია და ასი ზარბაზანი.—ადმირალმა კამიმურამ სასებოში ყოფნის დროს, როცა კორესპონდენტმა გამოჰკითხა, აქო ვაჟკაცობა და სიმამაცე რუსებისა.—დოკი, სადაც აკურებენ «ასკოლდსა» ინგლისის კამშანიას ეკუთვნის და არა ჩინეთსა, ამიტომ უნდა გამოიკვეს, ინგლისის მთავრობის ვალდებულება უნდა იყვეს განმარტონ და იძულებულ ჰყონ შეასრულონ ნეიტრალიტეტის მოთხოვნილებანი.

ჩიფუ (რეიტერი). 4 აგვისტოს კიდევ მოვიდა ორი ნავი და მოიყვანა რაოდენიმე რუსი და ჩინელები პორტარტურიდგან, ისინი ამბობენ სტესსელმა, როცა უარი სთქვა დანებებისა, გამოსცა ბრძანება, იწვევს ყველას ეხნენდ ბრძოლინ მტრის წინააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.—ჩინელები ამბობენ, პალინჯუანი, სიდამაც იაპონელნი საშინლად ესროდენ პორტ არტურს ყუმბარებსა, რუსებმა ისევ უკან წაართვეს. იაპონელთ შუშიარისკენ დაიწიესო.—ცინდაო ნემეცებმა ასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნეს ქალაქიდან 15 მილზე აღმოსავლეთისაკენ. რომ დაუშალონ იაპონელებს რადიოტელგრაფის სადგურის გაკეთება.

ვაშინგტონი. (რეიტერი). დეპეშა მოვიდა რომელიღაც გემის შეპყრობისა ჩიფუში. ეს შეპყრობა ამტკიცებს, უომ იაპონელთ არა სურთ შეასრულონ ჩინეთის ნეიტრალიტეტი. ამერიკის მთავარი კონსული შანჰაიში დეპეშით აუტყობინებს, სახელმწიფო დეპარტამენტს, ტაოტაიმ არ დაიკმაყოფილა რუსეთის მთავარ კონსულის თხოვნა და «ვროზოვოიო»-ს იარაღი უნდა აჰყარონ ან გავიდეს ნავსადგურიდან 7 აგვისტოს, ხოლო «ასკოლდი» 19 აგვისტოს.

ლასაპლასი. (რეიტერი). ჰამბურგ-ამერიკის კამპანიის გემი «ვალენსია» მივიდა კარდიფს ნაშზირის წასაღებად რუსის კრეისერისათვის.

სოფია. მეფე ედუარდმა უბოძა მთავარს ფეთინინდს ორდენი ვიქტორიისა.—200 მეტი სერბიის რკინის გზის მოსამსახურნი მოვიდენ, რომელთაც სიძოვნებით შეეგებნენ ბოლგარიელნი თანამსახურნი.—რუსის სასწავლებლების მოწაფეებმა ქალაქის ბაღში რუსთა დაბრილთა სასარგებლოდ დღესასწაული გამართეს.

სტამბოლი. (ვოლფი). ოსმალეთ-ამერიკის ინციდენტის გამო დიდმა ვეზირმა ფერიდ ფაშამ სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი მისცა.

სან-ფრანციასკო. ამერიკელი კონსული კონსული ნანკინში მოვიდა აქ და სთქვა, იაპონიის აფიცრები დიდძალ სალდათებს ასწავლიან. შეაგულ ჩინეთში ჯარები მაუზერის თოფებით არიან შეიარაღებულნი და აქვთ ტეფიის მფრქველელები იაპონიის ლაშქრისათვის მარტო ნანკინში ყოველ დღე 5 ათასს კაცს ასწავლიან.

დროებით რედაქტორი **გრ. ჟიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსაღები ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

3 აგვისტოს 1904 წ.

ექვსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიეში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში „	46,30
პარიეში „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	92½ ნის. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირვან. ფურც. სახელ. საადგ. მამელო ბანკისა	88⅞ წვ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მოგ. ბილ. 1864 წ.	387 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. აესხის მოგვებ. ბილ. 1866 წ.	298 წვ. გაყ.
5% გირავან. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	255¼ ნის. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	90⅛ წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5% გირავან. ფურც. იმავე ბანკისა	—

განცხადებანი

ქუთაისში

ს. ბ. თოფფარას

სამპურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის ჩრდილ ალექსანდრე ოლდენბურგელის

მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განუყოფელებით და ქირურგ-მიკროსკოპიღელ გამოკვლევაა კაბინეტით. გადამდებს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ქუთაისის ქალაქის წყლისა და ელექტრონულ ტრამვაის გამყვან საზოგადოების

სამთო ინჟენერ

ა. დ. მიხაილოვის და ამხ.

გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 22 აგვისტოსათვის 1904 წლისა, დილის 10 საათზედ, ქუთაისში, გამგეობის სადგომში, ტფილისის ქუჩაზედ, ანანოვის სახლში, დანიშნულია

საჩქარო საზოგადო კრება

ამხანაგობის 3ანის პატრონებისა.

განსახილველი საგნები: 1) ბალანსი 1 აგვისტოსათვის 1904; 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და 3) გამგეობისაგე მოხსენება იმის შესახებ, რომ ან შემდეგისთვის მოეწყოს საქმეთა მდგომარეობა, ანუ გალაეცეს სხვას. (3—5—1).

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

გერმანელ საკაფო სასწავლებელი I რიგ. გუგან ტრეფენერისა

მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაპერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსავე და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

გუხპალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გაღდებულ ხროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, სახოგადო საკაფროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ კამბანკირიშებისა, არითმეტიკას სასაკრაფოში ჩოტქთ, კომერციულ კორესპონდენტიასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ეკონომიკის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე სადამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. ბ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე სადამოს 4-დან 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და სადამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ სავნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც სადამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამისთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა ერთნაირ რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათთანად. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

(14—266—4). ალ. გ. საათაშვილი.

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოსტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

СПБ

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქცინოთ საფაბრიკო ნიშანს.

ტყავის საქონელი

რუსეთისა და სხვადვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელერ“-ის სწუობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—5—30).

Дозволено цензурою Тифлисъ 7 августа 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи